თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 7 ივნისი
მორიგი სხდომის
ოქმი № 8

ქ. თერჯოლა 7 ივნისი 2023 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით გოგბერაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. დავით გოგბერაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემურ ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ომარი ჯიხვაშვილი, 9. ბადრი ბუცხრიკიძე, 10. ჯემალ ისაკაძე, 11. მანუჩარ ფანჩულიძე, 12. შალვა ჭანკვეტაძე, 13. გრიგოლ გიორგაძე, 14. გოჩა ვერულაშვილი, 15. კახა ბუცხრიკიძე, 16. რამინი რობაქიძე, 17. თამარ ახვლედიანი, 18. ფრიდონ გვენეტაძე, 19. დავით ცხადაძე, 20. ნატალია ასათიანი, 21. კობა კირკიტაძე, 22. მერაბი ბასილაძე, 23. ტარიელ ფანჩულიძე, 24. რუსუდან კოვზირიძე, 25. როლანდი მესხი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. ელისო მურადაშვილი, 5. ივანე ჩუბინიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 25 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 13 ^{10}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282313658 წერილი, 16.05.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ თუზში, ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში მდებარე 12 მ² არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით მოქალაქე ნათია კუპატაძისათვის გადაცემის შესახებ)(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-2823152115 წერილი, 01.06/.023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №გ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282315666 წერილი, 05.06.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თერჯოლაში მდებარე ქონების იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ)(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282315680 წერილი, 05.06.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

5. ,,ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემისას, ქირის საფასურის საწყისი წლიური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 01 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე)(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282315679 წერილი, 05.06.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29.292301112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282315691 წერილი, 05.06.2023 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

7. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.29230112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282315691 წერილი, 05.06.2023 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

8. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.292301113 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282315691 წერილი, 05.06.2023 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

9. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.29230118 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282315691 წერილი, 05.06.2023 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

10. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.2923011001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282315691 წერილი, 05.06.2023 წ).

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24 , წინააღმდეგი - 1

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დაგენილების პროექტი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილებაში, არსებული ვაკანტური მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის პოზიცია დაკორექტირდა, გარდაიქმნა მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციად და გადატანილია ზედამხედველობის სამსახურში, ხოლო რაც შეეხება მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციას, აღნიშნული დაკორექტირდა და გარდაიქმნა მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციად.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი(დადგენილება № 10.07.06.2023 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ თუზში, ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში მდებარე 12 m^2 არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით მოქალაქე ნათია კუპატაძისათვის გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ თუზში, ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში მდებარე 12 მ² არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით მოქალაქე ნათია კუპატაძისათვის გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.292331587, 07.06.2023 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №გ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გადმოცემული (3) უძრავი ქონება შემდგომში მათი პრივატიზების მიზნით. პრივატიზება განხორციელდება უპირობა ელექტრონული აუქციონის ფორმით და საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული საორიენტაციო თანხა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №გ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29.231588, 06.07.2023 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თერჯოლაში მდებარე ქონების იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ) განკარგულების პროექტი - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თერჯოლაში მდებარე ქონება:

ს.კ. 33.09.42.535 მიწის ნაკვეთიდან 50 კვ.მ. (150 ლარი)

ს.კ. 33.09.36.202 მიწის ნაკვეთიდან 50 კვ.მ. (360 ლარი)

ს.კ. 33.09.42.985 მიწის ნაკვეთიდან 50 კვ.მ. (240 ლარი)

სარგებლობის უფლებით, პირდაპირი იჯარის ფორმით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით გადაეცემა მოქალაქე დავით ფანჩულიძეს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თერჯოლაში მდებარე ქონების იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ) განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29,29231586 07.06.2023 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუხცრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემისას, ქირის საფასურის საწყისი წლიური ოდენობის განსაზღვრის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 01 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ქ.თერჯოლის ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოყენებული უძრავი ქონების (არასაცხოვრებელი ფართი)სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირა 15 ლარი (1მ^2) მცირდება 7 ლარამდე (მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ხელმისაწვდომობის და სრულფასოვანი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემისას, ქირის საფასურის საწყისი წლიური ოდენობის განსაზღვრის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 01 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 11, 07.06.2023 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29.292301112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტიდან დარჩენილია 400 ლარი, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამიდან ემატება 5000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №29.292301112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29,29231585 07.06.2023 წ.).

7.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.29230112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტიდან 65 000 ლარი გადანაწილდა 4 სოციალური პროგრამის ბიუჯეტში, რომლებიც საჭიროებს შევსებას.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.29230112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29,29231583 07.06.2023 წ.).

8.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.292301113 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტში (დაზიანების ნაწილში) დარჩენილია 1200 ლარი, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამიდან ემატება 10 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.292301113 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29,29231582 07.06.2023 წ.).

9.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.29230118 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი -პროგრამის ბიუჯეტში დარჩენილია 2400 ლარი, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამიდან ემატება 30 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.29230118 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29,2923158001, 07.06.2023 წ.).

10.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.2923011001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტში დარჩენილია 600 ლარი, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამიდან ემატება 20 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -24 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11

იანვრის № 29.2923011001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29,29231584, 07.06.2023 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, დავით გოგბერაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე
დავით გოგბერაშვილი